ქ. მარნეული 20 აგვისტო 2024 წელი

ერთის მხრივ, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია) წარმოდგენილი მერის კენან ომაროვის სახით და მეორე მხრივ, შპს „მმკ გრუპ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted] წარმოდგენილი დირექტორის დავით მურადაშვილის (პ/ნ [redacted] (შემდგომში - დაინტერესებული პირი) სახით, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე, მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №83.02.18.537)) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიციირებისა და დადგენის გაცემის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის, 2024 წლის 20 აგვისტოს, №832.32242338 ბრძანებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დაინტერესებული პირის მიერ ინდივიდუალური განაშენიანების საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება ქალაქ მარნეულში მუსხელიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №83.02.18.537)).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ფინანსურ უზრუნველყოფას განახორციელებს დაინტერესებული პირი.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 **დაინტერესებული პირი ვალდებულია:**
3.1.1 საკუთარი რესურსით შეიმუშაოს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
3.1.2 ამ პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია მოამზადოს საქართველოს კანონმდებლობის და მუნიციპალიტეტის მერიის გაცემული დავალების გათვალისწინებით;
3.1.3 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე ინფორმაცია (მათ შორის, გეგმარებითი არეალის ზუსტი საზღვრების შესახებ) საინფორმაციო დაფაზე განათავსოს გეგმარებითი ერთეულის მიმდებარედ, საზოგადოებისათვის თვალსაჩინო

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განხორციელდება 2 (ორი) ეტაპად, კერძოდ:

ა) პირველ ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა მერიაში უნდა წარადგინოს საბაზისო მონაცემები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში) და განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია;

ბ) მეორე ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა მერიაში უნდა წარადგინოს განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი.

4.2 ამ მუხლის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
4.3 ამ მუხლის 4.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.

მუხლი 5. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

5.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში;
გ) ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
5.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

მუხლი 6. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულების გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს - მაჟორი).
6.2 მხარე რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა

ადგილას, კონცეფციის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა;
3.1.4 განაშენიანების დეტალურ გეგმასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების თითოეულ სტადიაზე, გეგმარებით ერთეულში, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას (საჯარო გზის მხარეს) დამატებით განათავსოს საინფორმაციო დაფა, რომელზედაც სულ მცირე, უნდა განთავსდეს ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრების, დაინტერესებული პირებისაგან მოსაზრებებისა და შეფასებების მიღების პერიოდისა და გეგმის დამტკიცების სავარაუდო ვადების შესახებ;
3.1.5 გაითვალისწინოს წარდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები ან სათანადოდ დაასაბუთოს მათი გაუთვალისწინებლობა;
3.1.6 ამ პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია წარადგინოს დავალებით გათვალისწინებულ ვადებში;
3.1.7 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის წარმოდგენის ეტაპზე, წარადგინოს ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და მესაკუთრის მიერ გაცემული მინდობილობა განმცხადებლისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;
3.1.8 უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება.
3.2 **დაინტერესებული პირი უფლებამოსილია:**
3.2.1 მოითხოვოს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის/გეგმის პროექტის განხილვის უზრუნველყოფა;
3.2.2 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.
3.3 **მერია ვალდებულია:**
3.3.1 საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის/გეგმის პროექტის განხილვაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობა;
3.3.2 განიხილოს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი ამ მუხლის 3.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
3.3.3 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის/პროექტის განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია გეგმის კონცეფციის/პროექტის შესახებ (გეგმის კონცეფცია/პროექტთან და მოსაზრებების/შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციასთან ერთად).
3.4 **მერია უფლებამოსილია:**
3.4.1 მოითხოვოს მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა;
3.4.2 მოითხოვოს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში შესწორების შეტანა;
3.4.3 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 4. ვალდებულების შესრულების ეტაპები და ვადები

მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 7. ხელშეკრულები შესრულების ადგილი და ვადა

7.1 ხელშეკრულების შესრულების ადგილია არის ქალაქი მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა.
7.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა არის ამ ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
8.2 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8.3 ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერ ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
8.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეს პირგასამტეხლო არ დაეკისრება.
8.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 6 (ექვსი) თვის ვადით.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „მმკ გრუპ“**
საიდენტიფიკაციო ნომერი: 234232149	საიდენტიფიკაციო ნომერი: [redacted]
მის: ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა №73	მის: ქ. თბილისი [redacted]
მერი კენან ომაროვი _____	დავით მურადაშვილი _____

NOSELI STUDIO

შემსრულებელი:

შპს ნოსელი სტუდიო
ს/კ

დირექტორი
ვახტანგი ნოსელიძე

პროექტის დასახელება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.მარნეულში

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

მისამართი:

ქ. მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა

ს/კ 83.02.18.537

დამკვეთი:

შპს მმკ გრუპ

გვერდის დასახელება:

ხელშეკრულება

ექსპლიკაცია:

საპროექტო ჯგუფი:
პრ. ავტორი [redacted]
ურბანისტი [redacted]

გვერდი	მასშტაბი	A3
31		

2024 წელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ32. 32240389**

თარიღი:**07/02/2024**

მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე, მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №83.02.14.267)) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიციირებისა და დავალების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ე“ პუნქტი, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 47-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, ,,სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2019 წლის 3 ივნისის, №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის და ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ხელმძღვანელის ილია ყალაბეგაშვილის, 2023 წლის 29 ნოემბერი, №03-322333359 მოხსენებითი ბარათის **საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება, შპს ,,მმკ გრუპ“ (ს/კ: [redacted]) ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალურ გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.

2. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონის სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა №113) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

3000, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73, ტელ: (0357) 22 33 21, (0357) 22 43 54
N73 RUSTAVELI STR. MARNEULI, E-MAIL: MUNICIPALITETI@MARNEULI.GOV.GE

NOSELI STUDIO

შემსრულებელი:

შპს ნოსელი სტუდიო
[redacted]

დირექტორი
ვახტანგი ნოსელიძე

პროექტის დასახელება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.მარნეულში

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

მისამართი:

ქ. მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა

ს/კ 83.02.18.537

დამკვეთი:

შპს მმკ გრუპ
[redacted]

გვერდის დასახელება:

ბრძანება ინიცირებასთან დაკავშირებით

ექსპლიკაცია:

საპროექტო ჯგუფი:

პრ. ავტორი	ვახტანგ ნოსელიძე
ურბანისტი	საბა მამრიკიშვილი

გვერდი	მასშტაბი	
32		A3

2024 წელი

საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 82

25 12 2023 წელი

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის სხდომის N16 ოქმის მე-12 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის N32-3223346218 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 29 ნოემბრის N03/322333359 მოხსენებითი ბარათი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ე“ პუნქტის, 24-ე მუხლის მე-პირველი ნაწილის ,,გ“ პუნქტის ,,გ.ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 57-ე მუხლის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

1. შეთანხმდეს, შპს ,,მმკ გრუპ“-ის ინიციატივის საფუძველზე მის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 83.02.18.537) ინდივიდუალური განაშენიანების მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანენის დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან გიორგაძე

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI

NOSELI STUDIO

შემსრულებელი:

შპს ნოსელი სტუდიო
[redacted]
დირექტორი
ვახტანგი ნოსელიძე

პროექტის დასახელება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.მარნეულში

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

მისამართი:

ქ. მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა

ს/კ 83.02.18.537

დამკვეთი:

შპს მმკ გრუპ
[redacted]

გვერდის დასახელება:

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N82

ექსპლიკაცია:

საპროექტო ჯგუფი:

პრ. ავტორი	ვახტანგ ნოსელიძე
ურბანისტი	საბა მამრიკიშვილი

გვერდი	მასშტაბი	
33		A3

2024 წელი

დანართი №2

განაშენიანების დეტალური გეგმის დავალება

1. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მიზნებისთვის მოსამზადებელი კვლევა; [კვლევის საფუძველზე საბაზისო მონაცემების ასახვა უნდა განხორციელდეს „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის №6 და №7 დანართების შესაბამისად.]
ბ) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია;
გ) განაშენიანების დეტალური გეგმისპროექტი.

2. სახელმძღვანელო კანონმდებლობა:
- საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“;
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი;
- „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება;
- „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება;
- საჭიროებისამებრ, სხვა სამართლებრივი აქტები.

3.განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შემადგენლობა. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია უნდა მოიცავდეს:
ა) საბაზისო რუკაზე დამუშავებულ განაშენიანების რეგულირების გრაფიკულ მონახაზს და ტექსტურ ანოტაციას;
ბ) ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტებს (საჭიროების შემთხვევაში);
გ) საბაზისო მონაცემთა მატრიცას, საჭიროების შემთხვევაში, მათ ანალიზს და შემოთავაზებული გადაწყვეტ(ებ)ის ეფექტიანობის შეფასებას.

4. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემადგენლობა.
განაშენიანების დეტალური გეგმა შედგება ტექსტური ნაწილისა და გრაფიკული ნაწილისაგან.
განაშენიანების დეტალური გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) ფუნქციურ ქვეზონა/ებს;
ბ) განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი ქვეზონის შესაბამისად განისაზღვროს კ1-0.5
გ) განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი ქვეზონის შესაბამისად განისაზღვროს კ2-4,6
დ) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი ქვეზონის შესაბამისად განისაზღვროს კ3-0.3
ე) განაშენიანების სახეობას (ქვეზონა/ების შესაბამისად);
ვ) განაშენიანების რეგულირების ხაზებს (წითელ ხაზებს);
ზ) განაშენიანების სავალდებულო ხაზებს (ლურჯ ხაზებს);
თ) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ქსელებს;
ი) საინჟინრო-კომუნალურ ქსელებს: ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგების, წყალმომარაგების, წყალარინების, ტელეკომუნიკაციის და სხვა სისტემებს;
კ) ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობას (განაშენიანების გეგმის მართვის რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად);
ლ) საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებრივი სივრცისათვის განკუთვნილ ადგილებს.

დამატებითი მოთხოვნები:

- იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ახალი შენობა-ნაგებობისთვის მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, თითოეული მიწის ნაკვეთი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფილი, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობადამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;
- მოხდეს შენობების მორგება არსებულ გარემოსთან.
- საპროექტო შენობის მოშენების კონტურები, მოცულობით-კომპოზიციური გადაწყვეტა განისაზღვროს გდგ-ს პროექტით.
- შენობები დაპროექტდეს საპროექტოდ გამოყოფილი ტერიტორიისთვის დადგენილ საზღვრებში.
- მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები (არსებობის შემთხვევაში); მათი გადარგვის ან მოჭრის შემთხვევაში შეთანხმებულ იქნას შესაბამის სამსახურებთან;
- პროექტით გათვალისწინებულ იქნას ძირითად სატრანსპორტო ქსელთან მყარი კავშირები.
- ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნორმატიული პარამეტრების მქონე შიდა სატრანსპორტო ქსელით. ტრანსპორტის, ფეხმავალთა გადაადგილებისთვის და სახანძროსაავარიო მომსახურებისთვის.

5. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ფორმატი

5.1. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია/გეგმის პროექტი წარმოდგენილ უნდა იქნეს „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-11 მუხლის შესაბამისად.
5.2.გრაფიკული ნაწილი უნდა დამუშავდეს შემდეგ შუალედში: მ 1:1000-1:500.
5.3. ფორმატი:
ა) ნაბეჭდი ალბომი - 1 ეგზემპლარი;
ბ) კომპაქტური დისკზე დატანილი ელექტრონული (PDF) სახით - 2 ეგზემპლარი;
გ) კომპაქტური დისკზე დატანილი გეო-ინფორმაციული სისტემების მასალები - 2 ეგზემპლარი.
5.4. გეო-ინფორმაციულ მასალებთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნები: - დოკუმენტაციის გრაფიკული ნაწილი – გეგმები, რუკები და სქემები შესრულებული უნდა იყოს გეო– ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და AutoCAD-ის გამოყენებით და უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე კარტოგრაფიულ სტანდარტებს. - გეო- ინფორმაციული მასალები უნდა შეიქმნას და დამუშავდეს ArcGIS 10 ვერსიის პერსონალური გეომონაცემთა ბაზის ფორმატში. - პერსონალური გეომონაცემთა ბაზა უნდა იყოს WGS 84\UTM 38N საქართველოს სახელმწიფო საკოორდინატო სისტემაში. - გეო-ინფორმაციული მასალების (იგულისხმება გარკვეული ფენები) საბოლოო ვერსია უნდა იქნეს შემოწმებული ტოპოლოგიურ შეცდომებზე (ტოპოლოგიური სიზუსტე 0.025 მ).

6. დოკუმენტაციის წარმოდგენის ეტაპები
6.1. საბაზისო მონაცემები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში) და განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია - წარმოდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში;
6.2. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი - წარმოდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში.

NOSELI STUDIO

შემსრულებელი:

შპს ნოსელი სტუდიო
[redacted]

დირექტორი
ვახტანგი ნოსელიძე

პროექტის დასახელება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.მარნეულში

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

მისამართი:

ქ. მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა

ს/კ 83.02.18.537

დამკვეთი:

შპს მმკ გრუპ
[redacted]

გვერდის დასახელება:

განაშენიანების დეტალური გეგმის დავალება

ექსპლიკაცია:

საპროექტო ჯგუფი:

პრ. ავტორი	ვახტანგ ნოსელიძე
ურბანისტი	საბა მამრიკიშვილი

გვერდი	მასშტაბი	
34		A3

2024 წელი

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

15 / აგვისტო / 2024 წ.

KARR0115404202924

№ **04/1191**

მარნეულის მუნიციპალიტეტის
მერიას და
მოქალაქე: საბა მამრიკიშვილს
მისამართი: [redacted]
პ/ნ: [redacted]
ტელ: [redacted]
ელ. ფოსტა/მეილი/: [redacted]

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 05 აგვისტოს № 1176/12 მომართვა და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში, მუსხელიშვილის ქუჩაზე შპს „მმკ გრუპ“-ის [redacted] საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 83.02.18.537) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის, განაშენიანების დეტალური გეგმის (გდგ) კონცეფციის საექსპერტო დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით.

გიგზავნით საექსპერტო დასკვნას (იხ. დანართი).

დანართი: 4 (ოთხი) გვერდი.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე

NOSELI
STUDIO

შემსრულებელი:

შპს ნოსელი სტუდიო
[redacted]

დირექტორი
[redacted]ძე

პროექტის დასახელება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.მარნეულში

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

მისამართი:

ქ. მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა

ს/კ 83.02.18.537

დამკვეთი:

შპს მმკ გრუპ
[redacted]

გვერდის დასახელება:

სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო

ექსპლიკაცია:

საპროექტო ჯგუფი:

პრ. ავტორი	ვახტანგ ნოსელიძე
ურბანისტი	საბა მამრიკიშვილი

გვერდი	მასშტაბი	
35		A3

2024 წელი

საექსპერტო დასკვნა №24/018

„ქ. მარნეულში, მუსხელიშვილის ქუჩაზე, შპს „მმკ გრუპ“-ის (ს/კ [redacted]) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 83.02.18.537) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის (დგდ) კონცეფცია.“

ქ. თბილისი **13.08.2024**

შინაარსი

ზოგადი ნაწილი 1
დოკუმენტაციის შემადგენლობა 1
დოკუმენტაციის შესაბამისობა კანონმდებლობასთან 2
საერთო შეფასება 2
საერთო შენიშვნა 2
დასკვნა 3

ზოგადი ნაწილი

საექსპერტო დასკვნა „ქ. მარნეულში, მუსხელიშვილის ქუჩაზე, შპს „მმკ გრუპ“-ის (ს/კ [redacted]) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 83.02.18.537) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის (დგდ) კონცეფცია“-ზე შემუშავებულია სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ შ.პ.ს. “ ნოსელი სტუდიო”-ს (ს/კ [redacted]) დირექტორის გახტანგ ნოსელიძის წარმოადგენლის საბა მამრიკიშვილის 2024 წლის 05 აგვისტოს №1176/12 წერილის საფუძველზე. დოკუმენტაცია შემუშავებულია შ.პ.ს. „მმკ გრუპ“-ის წარმომადგენლის - დირექტორის დავით მურადაშვილის დაკვეთით (2024 წლის 10 ივნისის ხელშეკრულება), შპს „ნოსელი სტუდიო“-ს დირექტორის ვახტანგ ნოსელიძის მიერ.

დოკუმენტაციის შემადგენლობა

- შ.პ.ს. “ ნოსელი სტუდიო”-ს (ს/კ [redacted]) დირექტორის გახტანგ ნოსელიძის წარმოადგენლის საბა მამრიკიშვილის 2024 წლის 05 აგვისტოს №1176/12 მომართვა - pdf ფაილი - 3 გვერდი;
- მომსახურების ხელშეკრულება (ხელშეკრულება 01/06/2024) და გადახდის ქვითარი- pdf ფაილი - 9 გვერდი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N82 განკარგულება, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების გადაწყვეტილების შესახებ - pdf ფაილი - 14 გვერდი;

- მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 07 თებერვლის N 82. 32240389 ბრძანება ინიციირებისა და დავალების გაცემის შესახებ. - pdf ფაილი - 1 გვერდი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 07 თებერვლის ადმინისტრაციული ხელშეკრულება N7 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების შესახებ - pdf ფაილი - 1 გვერდი;
- ქ. მარნეულში მუსხელიშვილის ქუჩაზე შპს „მმკ გრუპ“-ის (ს/კ [redacted]) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N 83.02.18.537) ტოპოგრაფიული გეგმა - pdf ფაილი - 1 გვერდი;
- განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია - pdf ფაილი - 59 გვერდი;

დოკუმენტაციის შესაბამისობა კანონმდებლობასთან

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძველზე, განისაზღვრა და შეფასდა დოკუმენტაციის შესაბამისობა შემდეგ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებთან:

- საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ (შემდგომში - „კოდექსი“);
- საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (შემდგომში -„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“);
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“ (შემდგომში - „წესი“);
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ (შემდგომში - „დებულებები“);
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ (შემდგომში - „სტანდარტები“);
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ (შემდგომში - „წესები“);
- სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

საერთო შეფასება

კონცეფციით შემოთავაზებულია ქ. მარნეულში, მუსხელიშვილის ქუჩაზე, შპს „მმკ გრუპ“-ის (ს/კ [redacted])საკუთრებაში არსებულ 23688 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 83.02.18.537) საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება, რომელიც გულისხმობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობას (ჯამში 7 (შვიდი) საცხოვრებელი ბლოკი).

მიწის ნაკვეთი მდებარეობს, როგორც საგზაო, ისე სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ კვარტალში. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე და მისასვლელი სამანქანო გზა, ხოლო დანარჩენი არეალი წარმოადგენს სამეზობლო საზღვარს.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე შენობის სართულიანობა განისაზღვრა არსებული კვარტლის კვლევის საფუძველზე, რომელიც ხასიათდება შერეული განაშენიანებით და ვხედავთ, როგორც მაღალი ინტენსივობის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, ისე დაბალი ინტენსივობის ინდივიდუალურ საცხოვრებელი დანიშულების მქონე სახლების განაშენიანებას.

კვარტალი უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო, სამედიცინო და ამბულატორიული დანიშნულების ობიექტებით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწისპირა სართული დაეთმობა კომერციურ ფართებსა და ღია ავტოსადგომებს. კომპლექსის მშენებლობა დამატებით ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობას, როგორც საერთო სარგებლობის ეზოთი, ბაგშვთა გასართობი სივრცეებით, სპორტული სივრცეებით, და ერთიანი დასასვენებელი-სარეკრეაციო გარემოთი, ასევე, ღია და მიწისქვეშა ავტოსადგომებით.

საერთო შენიშვნა:

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებამდე გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მოთხოვნები:

- *მიწის ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან დაცვნილ უნდა იქნას საპროექტო შენობების რეალური დაშორების უმოკლესი მანძილები საკადასტრო საზღვრებთან და შენობის საწყისი სიმაღლე განისაზღვროს „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების 41-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად (რომელიც გამოიწვევს სართულიანობის შემცირებას).*

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის ეტაპზე გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მოთხოვნები:

- განმარტებით ბარათში დაფიქსირდეს ინფორმაცია მიწისპირა სართულის დონეზე ღია ავტოსადგომების მოწყობის თაობაზე.
- განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების ეტაპზე წარმოდგენილ იქნას სველი ხელმოწერით დამოწმებული გეოლოგიური დასკვნა.
- სატრანსპორტო სქემებზე , ყველა ავტოსადგომის სივრცესთან გათვალისწინებულ უნდა იქნას საფეხმავლო ბილიკები (ტროტუარები).
- წარმოდგენილი დოკუმენტაციით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხე-ნარგავები, აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დანართის სახით წარმოდგენილ იქნას ტაქსაცია (ხე-ნარგავების ხარისხობრივი შეფასებით) შესაბამისი სპეციალისტის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული. საჭიროა ხე-ნარგავების ნუმერაცია ასახულ იქნას ასევე ტოპოგრაფიულ გეგმაზე;
- თქვენს მიერ წარმოდგენილი განმარტების საფუძველზე ავტოსადგომების რაოდენობა დარეგულირდეს დებულებების მე-18 მუხლის, მე-11 პუნქტის შესაბამისად.

დასკვნა

ქ. მარნეულში, მუსხელიშვილის ქუჩაზე, შპს „მმკ გრუპ“-ის (ს/კ [redacted]) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 83.02.18.537) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია“ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების თვალსაზრისით მისაღებია.

სააგენტოს შესაძლებელად მიაჩნია განხორციელდეს წარმოდგენილი განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება, ზემოაღნიშნული საერთო შენიშვნის შესაბამისი პროექტის კორექტირების შემდგომ.

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი

განვითარების სააგენტოს უფროსი **იოანე მენაბდე**

NOSELI STUDIO

შემსრულებელი:

შპს ნოსელი სტუდიო
[redacted]

დირექტორი
ვახტანგი ნოსელიძე

პროექტის დასახელება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.მარნეულში

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

მისამართი:

ქ. მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა

ს/კ 83.02.18.537

დამკვეთი:

შპს მმკ გრუპ

[redacted]

გვერდის დასახელება:

საექსპერტო დასკვნა

ექსპლიკაცია:

საპროექტო ჯგუფი:

პრ. ავტორი	ვახტანგ ნოსელიძე	
ურბანისტი	საბა მამრიკიშვილი	

გვერდი	მასშტაბი	A3
36		

2024 წელი

საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48

30 08 2024 წელი

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს სხდომის N09 ოქმის მე-4 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 29 აგვისტოს N32-3224242199 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალილტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 აგვისტოს N03-322424282 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ე" პუნქტის, 24-ე მუხლის მე-პირველი ნაწილის ,,ზ" პუნქტის ,,გ.ე" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის ,,ე.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა' პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 57-ე მუხლის საფუძველზე

1. დამტკიცდეს, შპს ,,მმკ გრუპ"-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 83.02.18.537) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განაშენიანენის დეტალური გეგმის კონცეფცია დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ როინი დეკანოიძემ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან გიორგაძე

NOSELI STUDIO

შემსრულებელი:

შპს ნოსელი სტუდიო
[redacted]

დირექტორი
ვახტანგი ნოსელიძე

პროექტის დასახელება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.მარნეულში

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

მისამართი:

ქ. მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა

ს/კ 83.02.18.537

დამკვეთი:

შპს მმკ გრუპ
[redacted]

გვერდის დასახელება:

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N48

ექსპლიკაცია:

საპროექტო ჯგუფი:

პრ. ავტორი [redacted]

ურბანისტი [redacted]

გვერდი	მასშტაბი	A3
37		

2024 წელი